ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1932 წ. მაისის 31. № 10 ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები.

67. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის 1932 წლის გეგმის შესახებ.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

67. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის 1932 წლის გეგმის შესახებ.

ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს (1931 წ.) ახასიათებს მუშათა კლასის ახალი წარმატებები და მიღწევები სოციალისტურ მშენებლობაში. მრეწველობის ცალკე დარგების ზრდის ერთგვარი ჩამორჩენის მიუხედავად მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1930 წლის პროდუქციასთან შედარებით გაიზარდა 53,5 პროც.

ამასთან ერთად 1931 წელი ხასიათდებოდა ჩვენში უმუშევრობის ლიკვიდაციით იმ დროს, როცა უმუშევართა რაოდენობა კატასტროფიულად იზრდებოდა ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომლებიც ეკონომიური კრიზისის კლანჭებში იხრჩობიან, იგი ხასიათდებოდა მუშების საყოფაცხოვრებო პირობების საგრძნობი გაუმჯობესებით და მათი ხელფასის შემდგომი ზრდით ჩვენში, მაშინ, როცა კაპიტალიზმის ქვეყნებში ადგილი აქვს მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების უაღრესად გაუარესებას.

სოფლის მეურნეობის ხაზით განვლილი 1931 წელი იყო მისი ძირფესვიანი გარდაქმნის სოციალისტური სექტორის (საბჭოთა მეურნეობანი და კოლმეურნეობანი) საგრძნობი ზრდის წელიწადი. კოლექტივიზაციამ სოფლად მიაღწია ყველა გლეხურ მეურნეობათა 38,4 პროც. და იგი გავრცელდა მთელი გლეხო-

ბის ნათესის 32 პროც.-ზე. 1932 წელს საგრძნობლად გადიდდა ტეხნიკურ და სპეციალურ კულტურათა ფართობი. ამავე დროს გაიზარდა სოფლის მეურნეობის ტეხნიკური შეიარაღება და გაფართოვდა წყალთა მეურნეობის სამუშაოები.

სოფლის მეურნეობაში მიღწეულ საგრძნობ წარმატებებთან ერთად, განვლილ 1931 წელს დაშვებულ იქნა სერიოზული პოლიტიკური შეცდომები, „რომელთაგან ძირითადია შეცდომა გლეხობის საკითხში“ (საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებიდან). როგორიცაა, მაგალითად, კოლმეურნეობების ადმინისტრატიული წესით წარმართვა, გაბერილი ციფრების გამოდევნება საკოლმეურნეო მშენებლობაში. „მომემარცხენო“ გადახვევები დამზადების საკითხებში და სხვ.

მიღწეული წარმატებანი წარმოადგენენ მუშათა კლასის და მშრომელი გლეხების გმირული მუშაობის შედეგს, შრომის სოციალისტური მეთოდების (შეჯიბრება და დამკვრელობა) განხორციელების შედეგს. პარტიის გენერალური ხაზის გატარებას და ორ ფრონტზე ბრძოლის შედეგს—მემარჯვენე ოპორტუნიზმთან, როგორც მთავარ საფრთხესთან ახლანდელ ეტაპზე და „მომემარცხენო“ ნახტომებთან, აგრეთვე მათ მიმართ ყოველგვარ შემარიგებლობასთან ბრძოლის შედეგს.

საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საგრძნობ წარმატებათა მიუხედავათ, საქართველოს სახკომსაბჭო ამ წარმატებებს საკმარისად არ სცნობს მეურნეობის სოციალისტური სისტემის შესაძლებლობათა თვალსაზრისით. საქართველოს სახკომსაბჭო სთვლის, რომ სოციალისტური მეურნეობის შესაძლებლობათა სათანადო და მეტი უნარით გამოყენების დროს, საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას შეეძლო მოეცა ზრდის უფრო მაღალი ტემპები. ამ შესაძლებლობათა არასაკმაოდ გამოყენების ძირითად მიზეზად უნდა ჩაითვალოს სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის დეფექტები, როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში და ტრანსპორტზე; შრომის ორგანიზაციის დეფექტები საწარმოებში, დეფექტები ხელფასის ორგანიზაციაში, კონკრეტული ხელმძღვანელობის მოუგვარებლობა, შესრულების შეუმოწმებლობა, არასაკმაო ყურადღება სამეურნეო ანგარიშისადმი.

ბრძოლას სამეურნეო ხელმძღვანელობის ამ ძირითად დეფექტებთან, ბრძოლას ამხ. სტალინის ექვსი ისტორიული მითითების განხორციელებისათვის შეუძლია უზრუნველყოს სოციალისტური მეურნეობის შესაძლებლობათა სათანადოდ გამოყენება და ზრდის ბოლშევიკური ტემპები.

ხუთწლედის მეოთხე დამამთავრებელ წელს უნდა მოხდეს შემდგომი რადიკალური გარდატეხა მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში.

სახალხო მეურნეობის 1932 წლის გეგმის წინაშე დასმულია შემდეგი უმნიშვნელოვანესი ამოცანები: ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება მძიმე ინდუსტრიის ძირითად დარგებში, აგრეთვე მსუბუქი მრეწველობის ძირითადი დარგების დაჩქარებული განვითარება, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების შემდგომი გაშლილი მშენებლობა, არსებულ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო განმტკიცება, ხარისხობრივი მაჩვენებლების, განსაკუთრებით ეფექტურობა, მის ნაყოფიერების ზრდის უზრუნველყოფა სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში, ელექტრომშენებლობის დაჩქარება იმ მიზნით, რომ გაფართოვდეს ენერგეტიული ბაზა და ბოლო მოეღოს ელექტრონის ენერგიის წარმოების ჩამორჩენას მოთხოვნილებისაგან, სატრანსპორტო მშენებლობის გაძლიერება, სატრანსპორტო მეურნეობის სრული რეკონსტრუქცია, და გარდაქმნა, რათა იგი გაუსწორდეს საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ტემპებს, საბინაო-კომუნალური მშენებლობის აყვანა რეკონსტრუქციის პერიოდის მოთხოვნების დონეზე და მშრომელთა მატერიალურ-კულტურული მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

1. მსხვილი სოციალისტური მრეწველობის კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1932 წლისათვის განისაზღვროს 93,7 მილიონი მანეთით, კერძოდ, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს (საბჭოთა კავშირის, ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის, საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის ს. მ. უ. საბჭოს) მრეწველობის ხაზით—64,7 მილიონი მანეთის რაოდენობით, აქედან საქართველოს ს. მ.უ. საბჭოს ხაზით—19,0 მილიონი მანეთით, ა.-კ. ს.ფ.ს.რ-კის და საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოების ხაზით—45,7 მილიონი მანეთით; აფხაზეთის მრეწველობის ხაზით—343 ათასი მანეთით, აჭარისტანის—660 ათასი მან.; სამხრეთ-ოსეთის—200 ათასი მან., ადგილობრივი მრეწველობის—2,6 მილიონი მან., მომარაგების სახალხო კომისარიატის მრეწველობის—22,8 მილიონი მანეთის და საუწყებო მრეწველობის ხაზით—2,4 ათასი მანეთის რაოდენობით.

მსხვილი მრეწველობის კაპიტალური დაბანდების საერთო ჯამიდან, რომელიც 93,7 მილიონი მანეთით განისაზღვრება, წარმოების საშუალებათა დამამზადებელ სამრეწველო ობიექტების, ე. ი. ჯგუფ „ა"-ს მშენებლობისათვის გადაიდოს 64,1 მილიონი მანეთი, ე. ი. 68,3 პროც., ხოლო მოხმარების საგნების დამამზადებელ „ბ" ჯგუფისათვის—29,6 მილიონი მანეთი ანუ 31,7 პრ.

2. აღინიშნოს, რომ საქართველოს ს.ს.რ-ში საგეოლოგო-საგამოკვლევო სამუშაოები დაუშვებლად ჩამორჩება იმ მოთხოვნებს მინერალური სათბობის და სამთომადნო ნედლეულის ბაზის გამორკვევის საქმეში, რომლებსაც აყენებს ა.-კ. ს.ფ.ს. რ-კის და საბჭოთა კავშირის მრეწველობის სწრაფი განვითარება. განსაკუთრებით აღინიშნოს ჩამორჩენა მინერალური სათბობის და ლითონების, კერძოდ ფერადი ლითონების, მარაგის და ხარისხის გამორკვევის საქმეში. ამიტომ 1932 წელს ყველაზე მეტი ყურადღება მიექცეს სამუშაოებს მინერალური სათბობის (ქვა-ნახშირი, ნავთი) და როგორც შავი, ისე, განსაკუთრებით, ფერადი ლითონების ძიების დარგში; პირველ ყოვლისა გამოკვლეულ. იქნას სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით ყველაზე მძლავრი და ეფექტიანი ობიექტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. 1932 წელს უზრუნველყოფილ იქნას ისეთი მსხვილი სამრეწველო საწარმოების მშენებლობა, როგორიცაა ფერო-მარგანეცის ქარხანა ზესტაფონში (5,5 მილიონი მან.), საქნავთის ხაზით—20.000 მეტრის მანძილზე საძიებელ ბურღვის შესრულება (5,3 მილ. მან.), ტყვარჩელმშენი (15,8 მილ. მან.); ტყიბულის საბადოები (1,8 მილ. მან.); მექანიკური ქარხნის მშენებლობის დამთავრება თბილისში (3,2 მილ. მან.); ბზიბის კომბინატი (3,5 მილ. მან.); ენგურის ხე-ტყის და ქაღალდის ფაბრიკა (4 მილ. მან.); ლიტოპონის ქარხანა ქუთაისში (1,9 მილ. მ.); ტუფის და დაგმაძლის ჭაღის 3 ქარხანა, სამკერვალო და პოლიგრაფიული ფაბრიკები ტფილისში, შაქრის ქარხანა აგარაში (8 მილ. მან.); კონსერვის ფაბრიკა ქუთაისში (1,5 მილ. მან.); მარგარინის ქარხანა ტფილისში (1,5 მილ. მან.); მაკარონის ფაბრიკა ტფილისში, წისქვილ-პურკომბინატი ტფილისში და მთელი რიგი სხვა საწარმოები.

4. საერთო პროდუქციის ზრდა მთელს სახ. მრეწველობაში (ს.მ.უ. საბ., მომარაგების სახკომის, ადგილობრივი და საუწყებო მრეწველობის ხაზით) განისაზღვროს 48,8 პროც. რაოდენობით 1931 წლის გეგმის ფაქტიურ შესრულებასთან შედარებით. აქედან ჯგუფ „ა"-ს ხაზით—47,4 პროც.; ხოლო ჯგუფ „ბ"-ს ხაზით—50,6 პროც., საქართველოს ს.მ.უ. საბჭოს საწარმოებში საერთო პროდუქციის ზრდა განისაზღვროს 38,8 პროც.; აქედან ჯგუფ „ა"-ს ხაზით—29 პროც.; ხოლო ჯგუფ „ბ"-ს ხაზით—43,4 პროც..

გათვალისწინებულ იქნას საშენებელი მასალების საერთო პროდუქციის მაქსიმალური ზრდა რესპუბლიკანური მრეწველობის ხაზით 224 პროც. და ადგილობრივი მრეწველობის ხაზით—85 პროც., უზრუნველყოფილ იქნას ეს ზრდა როგორც აგურის, კრამიტის, კირის და გაჯის არსებული ქარხნების დატვირთვის გადიდებით მათი გაფართოების და რეკონსტრუქციის საფუძველზე, ისე დაგმაძლის და ტუფის ჭაღის ახალი ქარხნების ამუშავებით. წინადადება მიეცეს საქართველოს ს.მ.უ.საბჭოს მაქსიმალურად დააჩქაროს ახალი სახის საშენებელი მასალების წარმოება, რისთვისაც სასწრაფოდ შეუდგეს ყველა მოსამზადებელ სამუშაოებს იმ ანგარიშით, რომ 1932 წელს შესაძლებელი იქნეს მშენებლობის მომარაგება ახალი საშენი მასალებით. წინადადება მიეცეს საქართველოს ს.მ.უ. საბჭოს უზრუნველყოს ადგილობრივი და ავტონომიური რესპუბლიკების მრეწველობის ხაზით 1932 წლისათვის ნავარაუდევ საამშენებლო სამუშაოთა პროექტების სასწრაფო განხილვა.

ა.-კ. ს.ფ.ს.რ-კის ს.მ.უ. საბჭოს მრეწველობის ხაზით საერთო პროდუქციის ზრდა დაისახოს 41 პროც. რაოდენობით, ხოლო საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს მრეწველობის ხაზით—89,2 პროც,. მომარაგების სახკომის მრეწველობაში—61 პროც.; ადგილობრივ მრეწველობაში—89,8 პროც. და საუწყებო მრეწველობაში— 87 პროცენტი.

5. მრეწველობაში ჩაბმულ მუშების რიცხვი საქართველოს, ა.-კ. ს.ფ.ს.რ-კის და საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოების ხაზით გადიდებულ იქნას 17.328 კაციდან 1931 წელს 20.622 კაცამდე 1932 წელში, ე. ი. 19 პროც..

ხელფასის ზრდა 1932 წელში, წინა წლის საშუალო წლიურ ხელფასთან შედარებით სამრეწველო მუშებისათვის დაწესდეს 12,7 პროც. რაოდენობით (1019,3 მანეთიდან 1149,1 მანეთამდე) და ამასთან შეფარდებით მუშების ხელფასის წლიური ფონდი განისაზღვროს 23.698,2 ათასი მანეთით, ე. ი. ფონდი გადიდებულ იქნას 34,2 პროც. წინა წელთან შედარებით.

შრომის ნაყოფიერების ზრდა ს. მ. უ. საბჭოს მრეწველობაში განისაზღვროს 16,9 პროც. 1931 წლის საშუალო წლიურთან შედარებით. დაევალოს სამეურნეო ორგანიზაციებს სასტიკად ადევნონ თვალყური, რათა მუშათა რიცხვი შეფარდებულ იქნას შრომის ნაყოფიერების ზრდის ამ დავალებასთან.

პროდუქციის თვითღირებულების დაკლება 1932 წელს საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს მრეწველობაში განისაზღვროს 6 პროცენტით წინა წლის საშუალო წლიურ ფაქტიურ თვითღირებულებასთან შედარებით.

მომარაგების სახკომის მრეწველობაში მუშათა რიცხვის ზრდა დაისახოს 17,5 პრ., გამომუშავებისა—19,2 პროც. და თვითღირებულების დაკლება—2,7 პროც.

6. დამტკიცდეს შემდეგი საწარმოო დავალებანი მრეწველობის ძირითად დარგებში: მარგანეცი—400 ათასი ტონა, ფერო-მარგანეცი—20 ათასი ტონა, ქვა-ნახშირი—360 ათასი ტონა (აქედან 300 ათასი ტონა ტყიბულში), აგური—85,4 მილიონი ცალი (აქედან რესპუბლიკანური მრეწველობის ხაზით 19 მილიონი ცალი, ადგილობრივი მრეწველობის—52 მილიონი და ავტონომიური რესპუბლიკების—14 მილიონი ცალი); საშენებელი ქვა—252 ათასი კუბ. მეტრი (აქედან რესპუბლიკანური მრეწველობის ხაზით 80 ათასი კუბ. მეტრი, ადგილობრივი მრეწველობის—164 ათ. კუბ. მეტრი და ავტონომიური რესპუბლიკების მრეწველობის ხაზით—8 ათასი კუბ. მეტრი), ცემენტი—900 ათასი კასრი, კირი—68,500 ტონა (აქედან რესპუბლიკანური მრეწველობის ხაზით—20 ათასი ტონა, ადგილობრივი მრეწველობის—43.000 ტონა და ავტონომიური რესპუბლიკების ხაზით—5.500 ტონა), კრამიტი—6,6 მილიონი ცალი, ანდეზიტი—12 ათასი კუბ. მეტრი, ბარიტი—35 ათასი ტონა, დახერხილი მასალა—181.200 კუბ. მეტრი, ცეცხლგამძლე აგური—1,5 მილ. ცალი, კურსების გრანიტი—2,5 მილიონი ცალი, აბრეშუმის გრეჯა—168,8 ტონა; მატყლის ქსოვილი—1.609 ათასი მეტრი, აბრეშუმის ქსოვილი—1.500 ათ. მეტრი, ბსხვილი ტყავი—173,7 ათასი ცალი (აქედან ტფილისში—107,8 ათასი ცალი და ბათომში—65,5 ათასი ცალი), წვრილი ტყავი—243 ათასი ცალი (აქედან ტფილისში—134,0 ათასი ცალი და ბათომში—109 ათასი ცალი); ფეხსაცმელი—1.445 ათასი წყვილი (აქედან ტფილისში—1.225 ათასი წყვილი და ბათომში—220 ათასი წყვილი), პაპიროსი—6.750.000 მილიონი მოსაწევი ერთეული, კონსერვი—22.400 ათასი პირობითი ქილა (აქედან 11.000 ათ. ქილა უნდა დაამზადოს გორის ფაბრიკამ, 10.000 ათ. ქუთაისის და 1.400 ათასი სოხუმის ფაბრიკამ); სარეცხი საპონი—3.200 ტონა, მცენარეულის ზეთი—1.350 ტონა, ბორჯომის წყალი—24.000.000 ბოთლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. 1932 წელს მიღებულ უნდა იქნას გადამწყვეტი ზომები არა მარტო იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს ელექტროსადგურების სიმძლავრის ჩამორჩენას გაშლილი საწარმოო პროცესის მოთხოვნილებისაგან, არამედ იმისთვისაც, რომ მომზადდეს რესპუბლიკის ელექტრონის პრობლემის რადიკალურად გადაჭრა/ მრეწვ. ენერგოტევადი დარგების განვითარების ხაზით (ელექტრომეტალურგია და ელექტროქიმია). დაჩქარდეს იმ სადგურების დამთავრება და გაფართოება, რომლებიც შენდება. უზრუნველყოფილ იქნას აწჰესის, ზაჰესის (მეორე რიგი) და რიონჰესის მშენებლობა. დაწყებულ იქნას ხრამჰესის მშენებლობა. კაპიტალური დაბანდების ჯამი ელექტრომშენებლობის ხაზით განისაზღვროს 31.696 ათასი მანეთით, აქედან რიონჰესს მოხმარდეს 11.500 ათას მან., ზაჰესის გაფართოებას—4.600 ათასი მანეთი, აწჰესს—4.500 ათასი მანეთი, ხრამჰესს—1.000 ათასი მანეთი, ალაზნის სადგურს—1.470 ათ. მან., ტყვარჩელის სადგურს—3.000 ათასი მან., სოხუმჰესს—1.235 ათ. მან., აბჰესს—236 ათასი მან., გადაცემის ხაზის მოსაწყობად გათვალისწინებულ იქნას 900 ათასი მან., ქვესადგურებისათვის—1.150 ათასი მან. და საძიებელი სამუშაოებისათვის--1.010 ათასი მანეთი.

სასოფლო-სამეურნეო სადგურების ხაზით უზრუნველყოფილ იქნას შემდეგი სადგურების დაფინანსება: გალის, ზემოსვანეთის, ბაშკიჩეთის და ბაღდათის და საკვლევი მუშაობისათვის—310 ათასი მანეთის რაოდენობით, წვრილი კომუნალური სადგურებისათვის გათვალისწინებულ იქნას 675 ათასი მანეთი.

8. რაიონული მასშტაბით დაზუსტებული საკონტროლო ციფრები საქართველოს ს. ს. რ-ის წვრილი შინამრეწველობისა და ხელოსნობის ხაზით მიღებულ იქნას შემდეგი სახით:

წვრილი მრეწველობის განსაზოგადოებულ სექტორში ჩაბმულ პირთა საერთო რიცხვი დამტკიცდეს 44.145 კაცის რაოდენობით 1933 წლის 1 იანვრისათვის, აქედან: სარეწაო კავშირის ხაზით უნდა იყოს 34.798 კაცი (ზრდა უდრის 16,3 პროც. 1932 წლის 1 იანვრისათვის ფაქტიურად არსებულ 29.911 კაცთან შედარებით), ინვალიდების კოოპერაციის—2.029 კაცი, ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის—3.961 კაცი და სხვა საწარმოო-სამეურნეო ორგანიზაციების ხაზით 3.337 კაცი.

საშენებელი მასალების პროდუქცია 1932 წელს განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით: აგური—15.800,0 ათასი ცალი (ინვალიდთა კოოპერაციის ხაზით—1.500 ათასი ცალი, ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის—2.000,0 ათასი ცალი და სარეწაო კავშირის ხაზით--12.300,0 ათასი ცალი), კრამიტი (სარეწაო კავშირი)—7.000,0 ათასი ცალი, გაჯი (სარეწაო კავშირი)—18.000 ტონა, კირი—46.800 ტონა (აქედან სარეწაო კავშირში—42.000 ტონა და ინვალიდთა კოოპერაციაში—4.800 ტონა), ქვიშა და ხრეში (სარეწაო კავშირი)—300.000 კუბ. მეტრი, საშენებელი ქვა (სარეწაო კავშირი)—172,0 ათასი კუბომეტრი, თიხის მილები (სარეწაო კავშირი)—300,0 ათასი კუბ. მეტრი, გამსხვილებული საშენებელი მასალა (კვად. აგური ათას ცალობით)—17.500,0

ათასი ცალი (აქედან ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის ხაზით—2.000,0 ათასი ცალი აგური და სარეწაო კავშირში—15.500,0 ათასი ცალი).

საერთო პროდუქცია სათანადო წლის ფასებით დამტკიცდეს 184,9 მილიონი მანეთის რაოდენობით (აქედან სარეწაო კავშირში—126.342,0 ათასი მან., ინკოოპკავშირში—15.485,0 ათასი მან., ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის ხაზით—19.810,0 ათ. მან. და სხვა განსაზოგადოებული საწარმოო ორგანიზაციების ხაზით—23.263,0 ათასი მანეთის რაოდენობით).

კაპიტალური დაბანდება განისაზღვროს 6.014,0 ათასი მანეთის რაოდენობით (აქედან სარეწაო კავშირის ხაზით—4.474,0 ათ. მან., ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის ხაზით—1.285,0 ათასი მან. და ინკოოპკავშირის ხაზით—250 ათასი მანეთის რაოდენობით).

9. იმ მიზნით, რომ „ველურ“ არტელებში მომუშავე შინამრეწველთა და ხელოსანთა საღი ნაწილი ჩაბმულ იქნას სარეწაო კოოპერაციის სისტემაში, წინადადება მიეცეს სარეწაო კავშირის პრეზიდიუმს საქართველოს სახ. მეურ. უმ. საბჭოს შინამრეწველობის კომიტეტთან ერთად შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი ამ საკითხზე ახალი წევრების კოოპერატიული შეკავშირების ხაზით განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კოლმეურნეობებს სარეწაო არტელების ქსელის კერძოდ იმ სარეწაოთა აღდგენის და გაძლიერების გზით, რომელთაც აქვთ დამხმარე მნიშვნელობა სოფლის მეურნეობისათვის (სარემონტო-შემკეთებელი სახელოსნოები და სხვ.), ამასთან ერთად იმ რაიონებში, სადაც თავმოყრილია სარეწაოები, დაჩქარდეს სარეწაო კოლმეურნეობათა ორგანიზაცია. გარდა ამისა, სარეწაო კავშირის ხაზით დაისახოს ფართო მოხმარების საგნების წარმოების მაქსიმალური განვითარება 1932 წელში. საექსპორტო და საიმპორტო ხასიათის ნაწარმის დამზადების გაძლიერება, იმ დარგების განვითარება, რომლებიც მუშაობენ საშენებელი მასალების, კერძოდ ახალი სახის საშენებელი მასალების, წარმოების ხაზით, ყოველნაირად შეეწყოს ხელი შინ მომუშავე შინამრეწველების კოოპერატიულად შეკავშირებული ნაწილის გადაყვანას საერთო სახელოსნოებში.

სოფლის მეურნეობა

1. ნათესი ფართობის საერთო რაოდენობა 1932 წელში აყვანილ იქნას 992.193 ჰექტარამდე 1931 წელს ფაქტიურად დათესილი 834.594 ჰექტარის ნაცვლად (ზრდა 18,88 პროც.), აქედან შემოდგომის ნათესი აყვანილ იქნას 285 ათას ჰექტარამდე და გაზაფხულის ნათესი 707.193 ჰექტარამდე 1931 წლის 171.414 და 663.180 ჰექტარის ნაცვლად.

2. მარცვლეული და ცერცვოვანი კულტურების (შემოდგომის და გაზაფხულის) ფართობი განისაზღვროს 836.626 ჰექტარის რაოდენობით 1931 წლის 677.964 ჰექტარის ნაცვლად (ზრდა 23,4 პროც.).

3. ტეხნიკური კულტურების ფართობი (სოიას გამოკლებით) აყვანილ იქნას 71.244 ჰექტარამდე, 1931 წლის 58,631 ჰექტარის ნაცვლად (ზრდა 21,51 პროც.); აქედან ბამბა დაითესოს 27.000 ჰექტარი 1931 წლის 20 ათასი ჰექტარის ნაცვლად (იზრდება 35 პროცენტით), თამბაქო—28 ათას ჰექტარი 1931 წლის 24,8 ათასი ჰექტარის ნაცვლად (იზრდება 12,75 პროცენტით); შაქრის ჭარხალი—4.000 ჰექტარი 1,1 ათასის ნაცვლად (იზრდება 263,63 პროცენტით); არახისი—4 ათასი ჰექტარი 1,4 ათასი ჰექტარის ნაცვლად (იზრდება 85,71 პროცენტით), ეთეროვანი მცენარეები—1.414 ჰექტარი 0,6 ათასი ჰექტარის ნაცვლად (იზრდება 135,6 პროცენტით), მზესუმზირა—5.270 ჰექტარი 4.500 ჰექტარის ნაცვლად (იზრდება 17,11 პროცენტით).

4. პირუტყვის საკვები კულტურების ფართობი აყვანილ იქნას 37.423 ჰექტარამდე, 1931 წლის 19.626 ჰექტარის ნაცვლად (იზრდება 90,68 პროცენტი); აქედან ძირნაყოფები დაითესოს 3.000 ჰექტარი (იზრდება 246,42 პროცენტით), სასილოსო ნათესი—4.410 ჰექტარი (იზრდება 305,96 პროცენტით).

5. კარტოფილის ფართობი განისაზღვროს 19.000 ჰექტარით (იზრდება 12,24 პროც.), ბოსტნეულის—24.500 ჰექტ. (იზრდება 40,76 პროც.); ბაღჩისა—3.200 ჰექტარით (იზრდება 43,74 პროცენტით).

6. სოია მწკრივებს შორის დაითესოს მთლიან ნათესზე გადაყვანით 50 ათას ჰექტარი და ლობიო—20.000 ჰექტარი.

7. მრავალწლოვანი ნარგავების ფართობი აყვანილ იქნას 121.596 ჰექტარამდე 1931 წლის 88.884 ჰექტარის ნაცვლად (იზრდება 36,79 პროცენტით); აქედან: ჩაი დაითესოს 37.285 ჰექტარი (ამ ფართობიდან ახლად გაშენდეს 15 ათასი ჰექტარი), რამი—7.171 ჰექტარი (აქედან ახლად გაშენდეს 6.700 ჰექტარი), ვენახი გაშენდეს 40.500 ჰექტარზე (აქედან ახლად 2.000 ჰექტ.), ციტრუსოვანი კულტურები 2.778 ჰექტარზე (აქედან ახლად—1.080 ჰექტარი); თუთის ნარგავები—7.513 ჰექტარზე (აქედან ახლად—4.750 ჰექტარი), ამერიკული ვაზის სადედეები—1.600 ჰექტარი (აქედან ახლად—1.200 ჰექტარი), ხილის სანერგეები—303 ჰექტარი (აქედან ახლად—240 ჰექტარი), ციტრუსოვან კულტურათა სანერგეები—278 ჰექტარი (აქედან ახლად გაშენდეს 250 ჰექტარი), სუბტროპიკული ხილეულის სანერგეები—100 ჰექტარი (სულ ახლად გაშენდეს).

8. ნათესის ფართობი საბჭოთა მეურნეობების ხაზით განისაზღვროს 48.733 ჰექტარით 1931 წლის 24.346 ჰექტარის ნაცვლად (იზრდება 99,75 პროცენტით); აქედან დაითესოს ტეხნიკური კულტურები: ბამბა—4.500 ჰექტარი, თამბაქო—847 ჰექტარი, შაქრის ჭარხალი—700 ჰექტარი, არახისი—500 ჰექტარი, ეთეროვანი მცენარეები—1.095 ჰექტარი, მზესუმზირა—500 ჰექტარი, საკვები მცენარეები—11.759 ჰექტარი; ბოსტნები, ბაღჩები და კარტოფილი—5.325 ჰექტარი; მრავალწლოვანი კულტურები: ჩაი ახლად გაშენდეს—2.700 ჰექტარი; რამი—3.700 ჰექტარი; ვენახი—900 ჰექტარი; ხეხილის ბაღები—1.150 ჰექტარი; ციტრუსოვანი კულტურები—1.080 ჰექტარი; თუთის პლანტაციები—750 ჰექტარი; სადედეები და სანერგეები—1.490 ჰექტარი.

9. პროდუქტიული პირუტყვი საბჭოთა მეურნეობებში (იმ საბჭოთა მეურნეობების გამოკლებით, რომლებიც არ შედიან მიწსახკომ-საქკოოპმეურნეობის და სხვ. სისტემაში) აყვანილ იქნას: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 19.900-მდე 13.671 ნაცვლად (იზრდება 45,6 პროც.), აქედან ძროხა—12.200-მდე 1931 წლის 6.123 სულის ნაც. (იზრდება 99,36 პროცენტით). ცხვარი—160 ათასამდე (იზრდება 100 პროცენტით), ღორი—26.900 სულამდე (იზრდება 64,42 პროცენტით), აქედან დედა-ღორი—4.100 სულამდე (იზრდება 45,90 პროც.); ცხენი—2.400-მდე, აქედან ფაშატი—800-მდე.

10. დამტკიცდეს წყალთა მეურნეობის მსხვილი საალმშენებლო სამუშაოები: ალაზანი, კოლხიდა, სამგორი; ალაზანმა უნდა მოგვცეს 8 ათასი ჰექტარი ფართობი, კოლხიდამ—7 ათასი ჰექტარი; წვრილი მშენებლობა: ბორჩალო—5.100 ჰექტარი; ლიუქსემბურგი—200 ჰექტარი; იორის ნაპირას მდებარე მიწები (გარე-კახეთი და გურჯაანი)—2.000 ჰექტარი; ქობულეთი—600 ჰექტარი; წითელი გორა—1.500 ჰექტარი; აფხაზეთის ჭაობები—150 ჰექტარი.

დამტკიცდეს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მშენებლობანი საბჭოთა მეურნეობებში, რომლებმაც უნდა მოგვცენ 14.555 ჰექტარი.

მიღებული ფართობის სიდიდე განისაზღვროს 39.105 ჰექტარით, აქედან ბამბისათვის 11.300 ჰექტარი.

დაისვას საკითხი შირაქის მორწყვის, ტირიფონის არხის დამთავრებისა და საბჭ. მაშველის რეკონსტრუქციის სამუშაოთა დამატებითი დაფინანსების შესახებ.

11. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რიცხვი განისაზღვროს 14 პრ-ით; გადიდებულ იქნას ტრაქტორების რიცხვი 423 ცალამდე 5.706 ცხენის ძალით ნაცვლად 3.051 ცხ. ძალისა 1931 წელს (ზრდა 87,02 პროცენტით).

საბჭოთა მეურნეობებში სატრაქტორო ძალა განისაზღვროს 16.816 ცხ. ძალის რაოდენობით, ნაცვლად 5.490 ცხ. ძალისა 1931 წელს (ზრდა 206,86 პროც.); ხარების რაოდენობა—5.517 სულით (ზრდა 74,97 პროც.) და მუშაცხენების—3.767 სულით (ზრდა 100,26 პროც.).

12. სოფლად შესატანი სასოფლო სამეურნეო იარაღ-მანქანების გეგმა განისაზღვროს 4.366 ათას მანეთის რაოდენობით, ნაცვლად 4.066 ათასი მანეთისა 1931 წელს.

13. სოფლის მეურნეობის მავნებლებთან საბრძოლველად საჭირო ქიმიურ ნივთიერებათა რაოდენობა განისაზღვროს 3.711 ათას მანეთით მათთან საბრძოლველად საჭირო საოპერაციო ხარჯების ჩათვლით. მინერალიზებული ფართობი განისაზღვროს 25.941 ათასი ჰექტარის რაოდენობით; მათ შორის ბამბის ფართობი—7.000, თამბაქოს—5.000, შაქრის ჭარხლის—4.000, წამლეულ მცენარეების—900; ჩაის—7.065 და ციტრუსოვან კულტურების—1.965 ჰექტარით.

14. დამტკიცდეს კაპიტალური მშენებლობა ყველა საბჭოთა მეურნეობებში (ავტონომიური რესპუბლიკების საბჭოთა მეურნეობების ჩათვლით) 508.221 კუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტრის მოცულობით 8,554 ათას მანეთის ღირებულებით (იმ საბჭოთა მეურნეობების გარდა, რომლებიც არ შედიან მიწსახკომის სისტემაში).

15. დამტკიცდეს კადრების გამოშვება 1932 წელს: სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან—350 კაცი, სასოფლო-სამეურნეო მუშფაკებიდან—165 კაცი, სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმებიდან—6.078 კაცი, ლაფნის კულტურების ინსტიტუტიდან—49 კაცი, ჩაის ინსტიტუტიდან—47 კაცი.

16. განისაზღვროს კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა სოფლის მეურნეობაში (გარდა სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა, კადრებისა და იმ საბჭოთა მეურნეობებისა, რომლებიც არ შედიან მიწსახკომის სისტემაში):

1) რესპუბლიკ. ტრესტებში—15.379.800 მან. რაოდენობით,

2) საკავშირო გაერთიანების ტრესტებში—56.623.600 მან. რაოდენობით, (საბჭოთა მეურნეობებში მშენებლობისათვის დაბანდებულ საერთო თანხიდან—26.768.000 მან. რაოდენობით),

3) მეცხოველეობის საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში—8.095.000 მან. რაოდენობით,

4) სასილოსე მშენებლობაში—152.100 მან. რაოდენობით,

5) წყალთა მეურნეობაში—12.465.000 მან. რაოდენობით,

6) მანქანა-ტრაქტორებისათვის—4.365.625 მან. რაოდენობით,

სულ—97.082.075 მან. რაოდენობით.

ტრანსპორტი

1. ამიერკავკასიის რკინის გზების, კერძოდ, 1 და 2 რაიონების განსაკუთრებით დაჭიმული მდგომარეობა აყენებს მის რეკონსტრუქციის ამოცანას, რისთვისაც კაპიტალური მშენებლობის მოცულობა 1 და 2 რაიონებში განისაზღვროს 13.000.000 მანეთის რაოდენობით; მათ შორის 1.228 ათასი მანეთი გზის გამტარუნარიანობის გაძლიერებისათვის, კერძოდ—6.500 ათასი მანეთი—საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაციისათვის.

2. ახალი რკინის გზის მშენებლობის სახით საჭიროდ იქნას ცნობილი შავი ზღვის გზის, სადგურ გალიდან ოჩემჩირემდე და ოჩემჩირე-კვეზანის შტოს მშენებლობის დაჩქარება.

ვინაიდან ძირითადი რეკონსტრუქცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობისა საქართველოს ს. ს. რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ საუღელტეხილო (კავკასიონის ქედზე გავლით) ელექტრონის რკინის გზის აგების შემდეგ, 1932 წლის განმავლობაში ჩატარდეს გზის საკვლევა-ძიებო სამუშაოები და დამთავრდეს მისი საბოლო პროექტის დამუშავება დარგკოხ-გორის ბიმართულებით, რისთვისაც გათვალისწინებულ იქნას 1.000.000 მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტალური დაბანდებანი ახალი რკინის გზების მშენებლობაში 1932 წლისათვის განისაზღვროს 7.472 ათასი მანეთის რაოდენობით; მათ შორის— 6.160 ათასი მანეთი გზების მშენებლობისათვის და 1.312 ათასი მანეთი საძიებელი სამუშაოებისათვის.

3. საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ურელსო ტრანსპორტის ძლიერი ჩამორჩენა სახალხო-სამეურნეო მშენებლობის ტემპებიდან, რაც განსაკუთრებით საგრძნობია ჩვენი ქვეყნის მთიანი რელიეფის გამო, საჭიროდ ხდის კაპიტალური დაბანდების საგრძნობ გაძლიერებას ურელსო ტრანსპორტის ხაზით. კაპიტალური დაბანდების მოცულობა ურელსო ტრანსპორტის ხაზით განისაზღვროს 9.473 ათასი მანეთის რაოდენობით, მათ შორის:

საკავშირო მნიშვნელობის გზებზე 4.949,5 ათასი მანეთი.

რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებზე 2.097,4 ათასი მანეთი.

ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე 2.426,4 ათასი მანეთი.

ამას გარდა, გათვალისწინებულ იქნას მოსახლეობის შორის ბეგარა საგზაო სამუშაოებზე, რაც გამოანგარიშებულია 8.307 ათას მანეთად. საკავშირო მნიშვნელობის გზებზე გათვალისწინებულ იქნას საქართველოს სამხედრო გზის რენოვაცია 2.000 ათასი მან., ტფილისი—საათი—1.000.000 მან., ენგური—სოხუმი—1.000.000 მან., რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებიდან სურამ-ძირულის გზის მშენებლობა (165 ათასი მანეთი), ყვირილის ხიდის (400.000 მან.), გორიცხინვალის (100.000 მანეთი), სხალთის გზის (400 ათასი მან.), და ზემო სვანეთის გზის (400 ათასი მან.).

4. „სოიუზტრანს"-ის ხაზით კაპიტალური მშენებლობის გეგმაში გათვალისწინებულ იქნას ავტო-სარემონტო ქარხნის მშენებლობა ტფილისში ისეთი სიმძლავრით, რაც დააკმაყოფილებს ამიერკავკასიის ტრანსპორტის მოთხოვნილებას. კაპიტალური სამუშაოების მოცულობა განისაზღვროს 7.327 ათასი მანეთის რაოდენობით; მათგან 3.421 ათასი მანეთი ახალი მანქანების შესაძენად და 2.472 ათასი მანეთი ტფილისში ქარხნის ასაგებად.

5. შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ნავთსადგურების საგრძნობლად გადიდებული ტვირთბრუნვის უზრუნველსაყოფად, საჭიროა ნავთსადგურების შემდგომი განვითარება გემთმისადგომი ადგილების გამტარ-უნარიანობის გაძლიერების, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების მაქსიმალური მექანიზაციის და ნავთსადგურების სპეციალიზაციის დაწესების საფუძველზე. კაპიტალური დაბანდება სანავთსადგურო მეურნეობაში განისაზღვროს 1.338 ათასი მანეთის რაოდენობით; მათ შორის: სოხუმის ნავთსადგურისათვის—105 ათასი მანეთი, ფოთის—739 ათასი მანეთი და ბათომის—494 ათასი მანეთი.

6. კაპიტალური დაბანდება მდინარის ტრანსპორტის ხაზით 1932 წლისათვის გათვალისწინებულ იქნას 30 ათასი მანეთის რაოდენობით.

7. კაპიტალური მშენებლობა საჰაერო მიმოსვლის ხაზით განისაზღვროს 894,9 ათასი მანეთის რაოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირგაბმულობა

კავშირგაბმულობის ხაზით 1932 წლის საკონტროლო ციფრებში გათვალისწინებულ იქნას კაპიტალური დაბანდება 3.117 მანეთის რაოდენობით. აქედან ტფილისის ავტომატიური სადგურის დასამთავრებლად 1.310 ათასი მანეთი და ქუთაისის ცენტრალური სადგურის დასამთავრებლად 400 ათასი მანეთი.

ვაჭრობა და სამომხმარებლო კოოპერაცია

1. სამომხმარებლო კოოპერაცია.

1. 1933 წლის 1-ლი იანვრისათვის კოოპერატიულად შეკავშირებული მოსახლეობის რიცხვი გაიზარდოს 1.437,9 ათასით, ნაცვლად 1932 წლის 1 იანვარს არსებულ 1.162,6 ათასისა.

2. პაის დაგროვება 1932 წელს, დიფერენციალური პაის ახალი განაკვეთების მიხედვით, დამტკიცდეს 8.937,0 ათასი მანეთის რაოდენობით.

3. მოწონებულ იქნას სავაჭრო ქსელის ზრდა 2.946 წერტილიდან (1932 წლის 1-ლ იანვარს) 3.863 წერტამდე 1933 წლის 1-ლ იანვრისათვის.

4. სამომხმარებლო კოოპერაციის საქონლის ბრუნვა 1932 წელს განისაზღვროს 366.398,8 ათასი მან. (თებერვლის ფასებით) რაოდენობით, ნაცვლად 242.437,5 ათასი მანეთისა 1931 წელს.

5. საქონლის ბრუნვის ხარჯები განისაზღვროს სოფლად 9,04 პროცენტით, ქალაქად—11,28 პროცენტით ბრუნვასთან შეფარდებით. აქედან დაგროვება სოფლად 1,5 პროც., ქალაქად—1,1 პროც.

6. წერტების რიცხვი საზოგადოებრივი კვების ხაზით 1933 წლის 1-ლ იანვრისათვის მიღებულ იქნას 807 ერთეულის რაოდენობით (105.000 ათასი მანეთის ბრუნვით).

7. მოწონებულ იქნას სამომხმარებლო კოოპერაციის დაზადებითი ოპერაციები (სასოფ.-სამეურნეო პროდუქტები, სამრეწ. ნედლეული) 19.621,9 ათასი მან. რაოდენობით.

8. კაპიტალის დაბანდება განისაზღვროს 5.468,5 ათასი მან. რაოდენობით. აქედან:

დუქნების მშენებლობა	244,2	ათასი მან.
საწყობების მშენებლობა	200,0	„
პურის ცხობა	1.630,0	„
ბოსტნეულის შესანახი საწყობები	235,0	„
ნავთის საწყობები	200,0	„
ცივი საწყობები	195,0	„
მეცხოველეობის კოოპმეურ.	999,0	„

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებოსტნეობა	770,3	ათასი მან.
საზოგადოებრივი კვება	725,0	„
ტრანსპორტი	99,0	„
სასწავლებლები	270,0	„
სულ . . .	5.468,5	ათასი მან.

II. საქვაჭრობა

1. სავაჭრო წერტების რაოდენობა 1933 წლის 1-ლ იანვრისათვის განისაზღვროს 242-ით ნაცვლად 177 წერტისა 1932 წლის 1-ლ იანვარს 140.000 ათასი მან. საქონლის ბრუნვით.

2. მიმოქცევის ხარჯები სავაჭროების ხაზით მიღებულ იქნას 11,1 პროცენტის ფარგლებში, აქედან დაგროვება—3 პროც.

3. მოწონებულ იქნას საქვაჭრობის კაპიტალურ დაბანდებათა ჯამი 1932 წლისათვის 826,0 ათასი მან. რაოდენობით.

III. სარეწაო კოოპერაციის კავშირი

დამტკიცდეს საცალო ვაჭრობის ქსელი 65 წერტის რაოდენობით და 22.000 ათასი მან. ბრუნვით.

IV. საქ. მარაგ-გასაღება

მიღებულ იქნას მაღაზიებისა და საწყობების ქსელი 18 ერთეულის რაოდენობით, რომელთა ბრუნვა თვითღირებულების მიხედვით განისაზღვროს—88.070,0 მანეთით.

V.

სხვადასხვა ორგანიზაციების ხაზით დამტკიცდეს საცალო ვაჭრობის 1.141 წერტი 129.461,4 ათასი მან. საქონლის ბრუნვით.

მასიური განათლება

1. მასიური განათლების ყველა ხარჯი განისაზღვროს 49.813.600 მანეთით, აქედან სოცალზრდის—36.302.000 მან., პოლიტგანათლების—13.370.000 მან., განათლების სახ. კომისარიატის კადრების—8.191.000 მან., სულ 58.079.000 მან.

2. სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა ქსელი მიღებულ იქნას 798 ერთეულის რაოდენობით, 87.887 კონტინგენტითა და 27,5 პროც. ჩაბმით; პირველი საფეხურის პოლიტეხნიკურ სკოლების ქსელი—3.898 ერთეული (15.266 ჯგუფი) 402.813 კონტიგენტით და 92,3 პროც. ჩაბმით; წერა-კითხვის უცოდინარ ასაკგადაცილებულთა სკოლების ქსელი—564 (1.173 ჯგუფი) 29.100 კონტიგენტით და 70 პროც. ჩაბმით; მეორე საფეხურის პოლიტეხნიკური სკოლების ქსელი—959 (3.277 ჯგუფი) 119.513 კონტიგენტით და 46 პროც. ჩაბმით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სკოლების ქსელი—7.015 ერთეული 217.942 კონტიგენტით და 100 პროც. ჩაბმით; მცირე მცოდნეობის სკოლების ქსელი—5.410 ერთეული 211.400 კონტინგენტით.

3. დაევალოს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და განათლების სახალხო კომისარიატს ერთი თვის ვადაში დაამუშაონ კულტურული მშენებლობის 1932 წლის მთლიანი გეგმა, რომელშიაც აღინიშნოს სამეურნეო, პროფესიონალური, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა სასკოლო მშენებლობის დაფინანსებაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას სკოლის ასაკამდე ბავშთა 40 პროცენტამდე ჩაბმა სოფლად, აგრეთვე კაბინეტების, სახელოსნოების, პოლიტეხნიკური მუზეუმის და სხვა დამხმარე ორგანიზაციების მოწყობა, რომლებიც საჭიროა პოლიტეხნიკური სკოლის ნორმალური მუშაობისათვის.

4. ცალკე დაისვას საკითხი ჯგუფების დაკომპლექტებისა და იმ გარღვევის (2.780 ათ. მან.) თავიდან აცილების შესახებ, რაც არსებობს საბიუჯეტო ასიგნობებსა და პირველი საფეხურის სკოლების მასწავლებელთა ხელფასის დასაფარავად ფაქტიურად საჭირო ფონდს შორის, რის გამოც დაევალოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, განათლების სახალხო კომისარიატს და ფინანსთა სახალხო კომისარიატს ერთად დაამუშაონ (ერთი დეკადის ვადაში) სათანადო ღონისძიებათა პროექტი ამ გარღვევის ლიკვიდაციისათვის.

ჯანმრთელობის დაცვა

1. ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო ფინანსების საერთო თანხა 1932 წლისათვის განისაზღვროს 32.829,2 ათასი მან. რაოდენობით ნაცვლად—21.395,6 ათასი მანეთისა 1931 წელს და ეს თანხა დაიფაროს შემდეგი წყაროებიდან: სახელმწიფო ბიუჯეტით—4.472,0 ათასი მანეთი ნაცვლად 2.250,0 ათასი მანეთისა 1931 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით (გარდა სპეციალური ასიგნობისა ფიზკულტურისათვის 444,5 ათასი მანეთის რაოდენობით—17.665 ნაცვლად—12.423 ათასი მანეთისა, დაზღვეულთა სამკურნალო ფონდი (მშენებლ. გამოკლებით)—6.813,8 ათასი მან. ნაცვლად 4.332,0 ათასი მანეთისა, სოცდაზღვევის სპეციალური ასიგნობები მშენებლობისათვის—1.405 ათასი მან. ნაცვლად 1.350 ათასი მანეთისა, წითელი ჯვარი და სპეციალური სახსრები—595 ათასი მანეთი ნაცვლად 348 ათასი მანეთისა და სამეურნეო ორგანოების მონაწილეობა 1.888,4 ათასი მან. ნაცვლად 692,6 ათასი მანეთისა 1931 წელს.

2. მედიკო-სანიტარულ დაწესებულებათა მშენებლობის საერთო მოცულობა, წარმოდგენილი სატიტულო სიის თანახმად, დამტკიცდეს 2.780 ათასი მანეთის რაოდენობით.

მშენებლობისათვის გაღებული სახსრების რეალურად გამოყენების მიზნით საჭიროდ იქნას ცნობილი ამ სახსრების თავის დროზე გაღება შესაფერი ოპერატიული ორგანოების მიერ.

3. ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელის ძირითადი მაჩვენებლები 1932 წლისათვის მიღებულ იქნას შემდეგი სახით: საავადმყოფოების საწოლები —5.857 ნაცვლად 5.209 საწოლისა 1931 წელს (ზრდა 648 საწოლით), სოფლის საექიმო პუნქტები —421 ნაცვლად 361 პუნქტისა (ზრდა 60 პუნქტით), ჯანმრთელობის დაცვის პუნქტები—114 ნაცვლად 94 პუნქტისა 1931 წელს, ბავშთა რაოდენობა მუდმივ ბაგებში—5.730 ნაცვლად 1.881 ბავშვისა 1931 წელს, ბავშვები სეზონურ ბაგებში—20.000 ნაცვლად 9.400 ბავშვისა, სამალარიო დაწესებულებანი--92 ნაცვლად 58-სა, სანიტარული ექიმები—97 ნაცვლად 53-ისა, ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებათა ექიმები—69 ნაცვლად 50-ისა, ფიზკულტურის ექიმები—48 ნაცვლად 15-ისა 1931 წელს.

4. აღინიშნოს, რომ მედიკოსანიტარულ დაწესებულებათა მშენებლობა, ვერ არის საკმაოდ გაშლილი, რაც აფერხებს მშრომელთათვის, განსაკუთრებით კი სამრეწველო და ტეხნიკური კულტურების რაიონების მეშათათვის შემდგომი ნორმალური მომსახურეობის გაწევის საქმეს, ცნობილ იქნას, რომ შრომის და თავდაცვის საბჭოს 1929 წლის 27 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად, სამეურნეო ორგანოების სახსრები ფართოდ უნდა იქნას მიზიდული მედიკო-სანიტარული დაწესებულებებისა და მედპერსონალის ბინების მშენებლობაში.

5. ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელის ნორმალური და შეუფერხებელი მუშაობის მიზნით, წინადადება მიეცეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყოს ეს ქსელი საჭირო კადრებით მსხვილი ცენტრებიდან (თბილისი, ბათომი, ქუთაისი) მათი ადგილებზე გადაგზავნისა და აგრეთვე მთელ რიგ სარაციონალიზაციო სამუშაოთა ჩატარების საშუალებით.

საკურორტო მშენებლობა

1. საკურორტო მშენებლობის საერთო მოცულობა კურორტთა მთავარ სამმართველოს ხაზით განისაზღვროს 7.350 ათასი მანეთით, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტით—4.100,0 ათასი მან., ცენტრალური კომუნალური ბანკის გრძელვადიანი კრედიტი—2.100,0 ათასი მან., სოცდაზღვევის ცენტრალური სამმართველოს ხაზით 1.000 ათასი მან., საკუთარი სახსრები—150 ათასი მანეთი.

სოცდაზღვევის ცენტრალური სამმართველოს მონაწილეობა კურორტების კეთილმოწყობაში არასაკმაოდ ჩაითვალოს, რის გამოც წინადადება მიეცეს კურორტთა მთ.-სამმართველოს აღძრას სათანადო შუამდგომლობა, რათა საკავშირო მნიშვნელობის კურორტების კეთილმოწყობაზე დამატებით იქნეს გაღებული 4 მილიონ მანეთამდე.

2. ვინაიდან 1932 წლისათვის განზრახული საკურორტო მშენებლობა ჯერ კიდევ არ არის გათვალისწინებული 1932 წლის დაზუსტებული საკონტროლო ციფრებით, წინადადება მიეცეს სახელმწიფო საგეგმო კომისიის და კურორტთა მთავარ სამმართველოს გამოარკვიონ მთელი საკურორტო მშენებლობის მოცუ-

ლობა ყველა მშენებელთა და საკურორტო სამმართველოთა ხაზით და შესაფერი პროექტი წარუდგინონ სახკომსაბჭოს ორი დეკადის ვადაში.

3. ვინაიდან დასახული საკურორტო მშენებლობის მთლიანად განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს უმაღლესი ორგანოების დადგენილებათა (საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წ. 31 ოქტომბრის და საკავშირო კომპარტიის (ბ) ა/კავკასიის სამხარეო კომიტეტის 1931 წ. 10 დეკემბრის დადგენილებანი) შესაბამისად, აღნიშნული მშენებლობა ჩაითვალოს დაკვრით მშენებლობად.

4. ძირითადი საკურორტო საწარმოო მაჩვენებლები კურორტთა მთავარ სამმართველოს ხაზით (საუწყებო სანატორიუმების და პანსიონატების გამოკლებით) დამტკიცდეს შემდეგი სახით: სანატორიუმები—10 (ნაცვლად 8 სანატორიუმისა 1931 წელს), საწოლები მათში 1.355 (ნაცვლად 1.225-ისა 1931 წელს). ავადმყოფთა გატარება სანატორიუმებში—9.190 კაცი (ნაცვლად 7.528 კაცისა 1931 წელს), საწოლების რიცხვი პანსიონატებში—1.459 და ავადმყოფების გატარება მათში—11.249 კაცი, ბალნეო-ფიზიო-თერაპევტიული პროცედურები—629.497 (ნაცვლად 490.594 პროცედურისა 1931 წელს).

კომუნალური მეურნეობა და საბინაო მშენებლობა

1. კაპიტალური დაბანდება საქართველოს კომუნალურ მეურნეობაში 1932 წლისათვის დამტკიცდეს 25.980,5 ათასი მანეთის რაოდენობით ნაცვლად 15.077,4 ათასი მანეთისა 1931 წელს. ეს თანხა მეურნეობის დარგებს შორის განაწილდეს შემდეგნაირად: 4.110,5 ათასი მანეთი წყალსადენთა მეურნეობას; 2.085,0 ათასი მან. კანალიზაციას; 400,0 ათასი მან. საასენიზაციო ტრანსპორტის მოწყობაზე; 1.385,0 ათასი მან. აბანოების მშენებლობას; 200,0 ათასი მანეთი სამრეცხველოების მშენებლობას; 2.750,0 ათასი მანეთი ტრამვაის მეურნეობას; 1.650,0 ათასი მან.—საავტომობილო ტრანსპორტს; 450,0 ათასი მანეთი გარაჟების მშენებლობას; 676,0 ათასი მანეთი ელექტრომშენებლობას; 770,0 ათ. მანეთი—სასტუმროების მეურნეობას; 3.090 ათასი მანეთი ხანძრისაგან დაცვისათვის; 11.205,0 ათასი მანეთი—ქალაქების კეთილმოწყობისათვის.

1932 წლის საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული მშენებლობის დაფინანსება წყაროების მიხედვით დამტკიცდეს შემდეგი სახით: ადგილობრივი ბიუჯეტით—21.652,5 ათასი მანეთი, ცენტრალური კომუნალური ბანკის სახსრებიდან 3.500,0 ათასი მანეთი და საქართველოს კომუნალური ბანკის სახსრებიდან—828 ათასი მანეთი.

2. კაპიტალური დაბანდება საქართველოს საბინაო მშენებლობაში დამტკიცდეს 21.693,0 ათასი მან. რაოდენობით ნაცვლად 19.414,0 ათასი მანეთისა 1931 წელს. მშენებელთა შორის ეს თანხა განაწილდეს შემდეგნაირად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმასკომის ხაზით	4.496,0	ათასი მან.
საბინაო კოოპერაციის	3.897,0	„ „
მრეწველობის	10,400,0	„ „
ტრანსპორტის	2.000,0	„ „
სხვა მშენებელთა	900,0	„ „

დამტკიცდეს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი სატიტულო სია კომუნალური და საბინაო მშენებლობის ობიექტებისა მათი განაწილებით რაიონების მიხედვით.

განსაკუთრებული დადგენილება

1. წინადადება მიეცეს ყველა უწყებას და ორგანიზაციას 5 დღის ვადაში დაიყვანონ 1932 წლის დაზუსტებული საკონტროლო ციფრები რაიონებამდე.

2. წინადადება მიეცეს ყველა უწყებას და ორგანიზაციას არა უგვიანეს ა. წ. 25 მარტისა წარუდგინონ საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას მე-2 კვარტალის გეგმა და მომავალში მოსული კვარტალური გეგმების შესახებ დაუგვიანებლად წარუდგინონ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ამისათვის დაწესებულ ვადაზე. წინადადება მიეცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაუხუროს კრედიტები იმ ორგანიზაციებს, რომლებიც დაწესებულ ვადაზე არ წარუდგენენ მასალას კვარტალური გეგმების შესახებ.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს მიწსახკომს და სახელმწიფო საგეგმო კომისიას ერთი დეკადის ვადაში დამატებით დაამუშაონ და წარმოადგინონ:

ა) მეურნეობათა კოლექტივიზაციის საშუალო პროცენტი, სათესი ფართობის და პირუტყვის განსაზოგადოება;

ბ) პირუტყვის რაოდენობის საკონტროლო ციფრები პირუტყვის იმ აღრიცხვის საფუძველზე, რომელიც ამჟამად ტარდება;

გ) იმ საბჭოთა მეურნეობების საწარმოო დავალებათა და კაპიტალურ დაბანდებათა საკონტროლო ციფრები, რომლებიც არ შედიან მიწსახკომის სისტემაში (საქ. კოოპმეურნეობა, სამკურნალო-ტეხნიკური ნედლეულის ტრესტი, „სოიუზტაბაკი“ და სხ.) და აგრეთვე სატრაქტორო ცენტრის სისტემის საკონტროლო ციფრები და საწარმოო დავალებანი;

დ) მოსავლიანობა, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ნორმები და სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია ნატურალური და ფულადი გამოხატულებით სექტორების მიხედვით;

ე) კაპიტალის დაბანდება კადრების მომზადებისათვის;

ვ) საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმების შევსების დაზუსტებული საწარმოო გეგმა;

ზ) საკონტროლო ციფრების ძირითადი მაჩვენებლები მოცემულ უნდა იქნეს რაიონების მიხედვით.

318

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. წინადადება მიეცეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს განსაკუთრებულად დაამუშაოს და წარუდგინოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას ერთი თვის ვადაში მალარიასთან ბრძოლის კვარტალური საოპერაციო გეგმა, რომელშიაც გაითვალისწინოს პროფილაქტიურ ღონისძიებათა მაქსიმალური გაშლა, კერძოდ, გეგმაში შეიტანოს წყლის პრობლემა სანიტარული მელიორაციის უმნიშვნელოვანესი ობიექტების სათანადოთ შესწავლის მხრივ, იმ მიზნით, რომ შეტანილ იქნას ისინი 1933 წლის საკონტროლო ციფრებში.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას საქართველოს ს.მ.უ საბჭოსთან ერთად, ერთი დეკადის ვადაში დაამუშაოს საშენებელი მასალის ბალანსი და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქართველოს სახკომსაბჭოს.

6. წინადადება მიეცეს ყველა უწყებას და ორგანიზაციას ხუთი დღის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას კადრების დაზუსტებული საკონტროლო ციფრები 1932 წლისათვის, ხოლო სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მასალის მიღების შემდეგ ერთი დეკადის ვადაში შეადგინოს 1932 წლის კადრების გაერთიანებული საკონტროლო ციფრები და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს ფინსახკომს ერთი დეკადის ვადაში წარუდგინოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას საქართველოს სახალხო მეურნეობის დაფინანსების გეგმა 1932 წლისათვის წყაროების მიხედვით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. მარტის 20.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 70 №-ში 1932 წ. მარტის 24.

მთავლიტი № 939. საქ. სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა. ტირაჟი. 1300.